პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2026 წლის -- თებერვალი

ქ. წყალტუბო

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 23 თებერვლის №48-4826054149 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, როგორც ჰუმანიტარულ სფეროში მთავრობის დამხმარე ორგანიზაცია (საქართველოს კანონი ,,საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ" 15/07/2017 ), ემსახურება განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების ხვედრის შემსუბუქებას, მათი სიცოცხლისა და ღირსების დაცვას. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება წარმოადგენს ერთადერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც ქვეყნის სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილება) შესაბამისად შემდეგი ფუნქციები აქვს: მონაწილეობს სამძებრო და სამაშველო საქმიანობებში; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კოორდინირებით ორგანიზებას უწევს საგანგებო სიტუაციის შედეგების აღმოფხვრაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობებს; არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამხმარე რგოლი დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველი დახმარების უზრუნველყოფაში და საველე ჰოსპიტალის მოწყობაში; ასევე ეხმარება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაზარალებული მოსახლეობისათვის წყლისა და საკვების მიწოდებაში საგანგებო სიტუაციის დროს. ასევე, 2026 წელს იგეგმება ერთობლივი პროექტი „გაძლიერებული ადგილობრივი თემების ახალგაზრდები კატასტროფების ზეგავლენის შემსუბუქების, უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისთვის წყალტუბოში" პროგრამის მთლიანი ბიუჯეტია 55 000. 00 (ორმოცდათხუთმეტიათასი ლარი და 00 თეთრი)ლარი. მხარდასაჭერი თანხა 2026 წლის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 30 000. 00 (ოცდაათიათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი. პროგრამის დაფინანსების წყაროებია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და მე-100 მუხლის მე-5 ნაწილის „ბ" პუნქტის შესაბამისად :

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტის მ/შ: მაია უგლავა

შეთანხმებულია:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი: მაია ბერაძე

აპარატის უფროსი: გელა თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე: ნიკა მჟავია

წერილის ნომერი: **48-4826054149**
თარიღი: **23/02/2026**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, როგორც ჰუმანიტარულ სფეროში მთავრობის დამხმარე ორგანიზაცია (საქართველოს კანონი ,,საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ" 15/07/2017 ), ემსახურება განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების ხვედრის შემსუბუქებას, მათი სიცოცხლისა და ღირსების დაცვას. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება წარმოადგენს ერთადერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც ქვეყნის სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილება) შესაბამისად შემდეგი ფუნქციები აქვს: მონაწილეობს სამძებრო და სამაშველო საქმიანობებში; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კოორდინირებით ორგანიზებას უწევს საგანგებო სიტუაციის შედეგების აღმოფხვრაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობებს; არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამხმარე რგოლი დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველი დახმარების უზრუნველყოფაში და საველე ჰოსპიტალის მოწყობაში; ასევე ეხმარება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაზარალებული მოსახლეობისათვის წყლისა და საკვების მიწოდებაში საგანგებო სიტუაციის დროს.

გაცნობებთ, რომ 2026 წელს იგეგმება ერთობლივი პროექტი „გაძლიერებული ადგილობრივი თემების ახალგაზრდები კატასტროფების ზეგავლენის შემსუბუქების, უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისთვის წყალტუბოში" პროგრამის მთლიანი ბიუჯეტია 55 000. 00 (ორმოცდათხუთმეტიათასი ლარი და 00 თეთრი)ლარი. მხარდასაჭერი თანხა 2026 წლის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 30 000. 00 (ოცდაათიათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი. პროგრამის დაფინანსების წყაროებია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი და

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის მე-100 მუხლის მე-5 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის თანახმად, გთხოვთ თანხმობას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

დანართი ,, 15" ფურცლად.

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

NAdm-290126/6

29.01.2026 წ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

თანდართული დოკუმენტებით წარმოგიდგენთ 2026 წლის ერთობლივი პროექტის **„გაძლიერებული ადგილობრივი თემების ახალგაზრდები კატასტროფების ზეგავლენის შემსუბუქების, უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისთვის წყალტუბოში"** განსახორციელებლად საჭირო ხელშეკრულებას, ხარჯთაღრიცხვასა და პროექტს.

მადლობას გიხდით მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

ნინო ოსეფაიშვილი
გენზერალური მდივანი



ქ.თბილისი, ვაზისუბნის ქუჩა 71
+995 32 2 501105
redcross@redcross.ge
www.redcross.ge

Tbilisi, 71 Vazisubani. street
+995 32 2 501105
redcross@redcross.ge
www.redcross.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიისა და
საქართველოს წითელი ჯვრის
მიზნობრივი პროგრამა

**2026** წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება: „გამლიერებული ადგილობრივი თემების ახალგაზრდები კატასტროფების ზეგავლენის შემსუბუქების, უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისთვის წყალტუბოში"

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი: „01 თებერვალი" 2026 წ. „31 დეკემბერი" 2026 წ.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი: პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 55 000. 00 (ორმოცდათხუთმეტიათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი. მხარდასაჭერი თანხა 2026 წლის **წყალტუბოს** მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 30 000. **00 (ოცდაათიათასი** ლარი და **00** თეთრი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო:

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი;
- საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

- საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება.

### 6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

საქართველო რადიკალური და სწრაფი ცვლილებების აუცილებლობის წინაშე დგას, რადგან სპონტანურად და არათანმიმდევრულად განხორციელებულმა რეფორმებმა ქვეყანაში ვითარება საგრძნობლად გააუმჯობესა, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მოგვცა, განსაკუთრებით, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირების კუთხით. დღემდე არსებულ სტრატეგიულ და საპროგრამო დოკუმენტებში გაცხადებული მიზნები, რომლებიც სიღარიბისა და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდებოდა, კვლავ მიუღწეველია. ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს ასევე გახშირებული სტიქიური უბედურებები თუ სხვადასხვა სახის დაავადებათა გავრცელების საფრთხე, რაც მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მოწყვლად ჯგუფებს, დიდი რისკის წინაშე აყენებს. საქართველოში ამ მიმართულებითაც არაერთი რეფორმა განხორციელდა და შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა სრულყოფილი და სტაბილური სისტემის შექმნა მოითხოვს გრძელვადიან განვითარებას. თანამედროვე მსოფლიოში, მათ შორის ჩვენ ქვეყანაში, გლობალურმა პანდემიამ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა როგორც საზოგადოება, ასევე ჯანდაცვის სისტემა და ადგილობრივი თვითმმართველობა. გასათვალისწინებელია, რომ არაერთი გამოწვევის წინაშე მდგომი მოსახლეობის დღის წესრიგი გულისხმობს მოქალაქეების საყოველთაო ჩართულობასა და უშუალოდ თემის წევრების აქტიურ მონაწილეობას განვითარების პროცესში.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, როგორც ჰუმანიტარულ სფეროში მთავრობის დამხმარე ორგანიზაცია (საქართველოს კანონი „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ" 15/07/2017 ), ემსახურება განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების ხვედრის შემსუბუქებას, მათი სიცოცხლისა და ღირსების დაცვას. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება წარმოადგენს ერთადერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც ქვეყნის სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #508 დადგენილება) შესაბამისად შემდეგი ფუნქციები აქვს: მონაწილეობს სამძებრო და სამაშველო საქმიანობებში; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კოორდინირებით ორგანიზებას უწევს საგანგებო სიტუაციის შედეგების აღმოფხვრაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობებს; არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამხმარე რგოლი დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველი დახმარების უზრუნველყოფაში და საველე ჰოსპიტალის მოწყობაში; ასევე ეხმარება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაზარალებული მოსახლეობისათვის წყლისა და საკვების მიწოდებაში საგანგებო სიტუაციის დროს.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მნიშვნელოვან პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- **კატასტროფების მართვა (რისკის შემცირება, მზადება და რეაგირება),** რაც გულისხმობს თემის მოწყვლადობისა და შესაძლებლობების შეფასებას, ცოდნის ამაღლებას კატასტროფების შესახებ თემში მათი შესაძლებლობების გაზრდისა და თემის ეფექტური რეაგირებისათვის საგანგებო/კრიზისული სიტუაციის დროს; რეაგირების გუნდების შექმნას (მათ შორის პირველი დახმარების და ფსიქოსოციალური დახმარების გუნდები), წვრთნას/სწავლებას, სიმულაციური ვარჯიშების მოწყობას და რეაგირების მექანიზმში ჩართულ ყველა

დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობის გაუმჯობესებას; მუნიციპალიტეტების რეაგირებისა და ევაკუაციის გეგმების (მათ შორის საოჯახო გეგმის) შემუშავებაში/განახლებაში აქტიურ მონაწილეობას.

- **ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა,** რაც ითვალისწინებს მობილური პირველადი ჯანდაცვის კაბინეტების მეშვეობით უფასო სამედიცინო-დიაგნოსტიკურ კვლევებსა (მუცლის ღრუსა და სხვა შინაგანი ორგანოების ექოსკოპირება უახლესი აპარატურით, კარდიოლოგიური, გინეკოლოგიური და ოფთალმოლოგიური გამოკვლევა, სისხლში შაქრის შემცველობის დონის განსაზღვრა, ფარისებრი ჯირკვლის რადიოლოგიური კვლევა) და ექიმი-თერაპევტის, გინეკოლოგისა თუ ოფთალმოლოგის კონსულტაციას მოწყვლადი ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით ქალაქებიდან მოშორებით მდებარე დასახლებებსა და თემებში. ასევე სისხლის უანგარო, ნებაყოფლობითი დონაციის პროპაგანდის მეშვეობით სისხლის დონორების მობილიზებას და ქვეყანაში არსებული სისხლის მარაგის შევსებას, იმუნიზაციის გზით ქვეყნის მოსახლეობის ეფექტურ დაცვას მართვადი დაავადებებისაგან, საგანგებო სიტუაციებისთვის, მათ შორის პანდემიებისთვის მზადყოფნას, ეპიდემიური კონტროლის, წყლის ჰიგიენისა და სანიტარიის, მასობრივი საგანგებო სიტუაციებიის მართვის, პირველი დახმარებისა და ფსიქოლოგიური პირველი დახმარების შესახებ ცოდნის ამაღლების და პრაქტიკული უნარების განვითარების გზით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს თემის დონეზე საგანგებო მდგომარეობებზე რეაგირების გაუმჯობესებას;

- **სოციალური მხარდაჭერა,** რომლის ფარგლებში „ინტეგრირებულ საქმიანობათა დღის ცენტრის“ ბაზაზე არის შექმნილი სხვადასხვა საქმიანობათა ჯგუფები და ხორციელდება ბენეფიციართა უნარ-ჩვევების განვითარება (თემატური ტრენინგები, სემინარები, სასწავლო სესიები და ა.შ.), სერვისების მიწოდება (ბინაზე ვიზიტები, შინმოვლა, პერსონალური ასისტირება, საოჯახო საქმეებში დახმარება, რეცხვა და ა.შ.) და ადვოკატირება (სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით, კონსულტაცია და ინფორმირება). ბენეფიციარებს შესაძლებლობა ეძლევათ ღირსეულ გარემოში დაგეგმონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ზემოაღნიშნული ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობაში, სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებაში, რაც ხელს უწყობს მათი ყოფის შემსუბუქებას, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და თაობათაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესებას.

- **ახალგაზრდული და მოხალისეობრივი მოძრაობის განვითარება,** რომელიც მიზნად ისახავს მოხალისეობრივი ინსტიტუტის პოპულარიზებასა და გაძლიერებას, მოსახლეობის ჩართვას სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობებში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს თითოეული ინდივიდის პიროვნულ ზრდას (ტრენინგების/სემინარების/სასწავლო სესიების/პრაქტიკული სავარჯიშოების და ა.შ. საშუალებით) სხვადასხვა მიმართულებით, მათში ჰუმანიტარული ღირებულებების ჩამოყალიბებას, სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას, მათ მობილიზებას და აქტიურ მონაწილეობას მოწყვლადი ჯგუფების დახმარებაში, როგორც სასოფლო, ასევე საქალაქო თემებში. ახალგაზრდებს ეძლევათ არაფორმალური განათლების და სხვადასხვა ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების განვითარების საშუალება, რაც ხელს უწყობს მათ თვითრეალიზებას და უშუალო მონაწილეობას თემის, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის გავნვითარებაში. ახალგაზრდებისთვის ასევე ხელმისაწვდომი ხდება ჩაერთონ თანასწორთა განათლების პროცესში და დაეხმარონ თანატოლებს გახდნენ უფრო მოტივირებულები, აქტიურები და გაიუმჯობესონ მათთვის საჭირო შესაბამისი უნარ-ჩვევები.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას აქვს როგორც თემებში მოწყვლადი ჯგუფების ((სკოლამდელი ასაკის ბავშვები და მოზარდები, ხანდაზმულები, ასევე იძულებით გადაადგილებული, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირები) წინაშე არსებულ გამოწვევებზე მყისიერი რეაგირების, ასევე პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისა და რისკების შემცირების მრავალწლიანი გამოცდილება, ცოდნა და პოტენციალი. იგი ხელს უწყობს უსაფრთხო ადგილობრივი თემების განვითარებას საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე პარტნიორთა მობილიზებით და **თთგ** (თემის თანამონაწილეობით განვითარება) მიდგომის გამოყენებით, რომლის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ყველა დაინტერესებულ მხარეს თემის საჭიროებებზე რეაგირების პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს, განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და თვით თემის წევრებს, რაც შემდგომში არის ამ პროცესის მდგრადობის წინაპირობა.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება **წყალტუბოში** მოქმედი მოხალისეთა ჯგუფებით თავისი პრიორიტეტებიდან და განსაზღვრული მანდატიდან გამომდინარე ცდილობს წვლილი შეიტანოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით, რისთვისაც ის თავის რესურსსა და გამოცდილებას იყენებს მოსახლეობის კეთილდღეობისა და ღირსეული გარემოს შექმნისათვის. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მოხალისეთა ჯგუფები **წყალტუბოში** აქტიურად ახორციელებს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულების, სოციალურ მხარდაჭერასა და თემის უნარიანობის ამაღლებაზე ორიენტირებულ საქმიანობებს. იგი ასევე მუშაობს ახალგაზრდების გაძლიერების და მოხალისეთა ინიციატივების განვითარების მიმართულებით, კვალიფიციურ მოხალისეთა ქსელის საშუალებით აწვდის სხვადასხვა სახის სერვისებს დაუცველ ჯგუფებს და აქტიურად და მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან. სულ უფრო თვალსაჩინო და ხელშესახები ხდება სარგებელი როგორც მიზნობრივი ჯგუფებისათვის, ასევე მთლიანად თემის წევრებისათვის. სასწავლო ტრენინგ მოდულებისა და კვალიფიციური ტრენერების არსებობა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად საშუალებას აძლევს განახორციელოს როგორც თემის წევრების სწავლება, ასევე მოახდინოს სათანადო რეაგირება საჭიროებებისა და გამოწვევების საპასუხოდ.

პროექტი საშუალებას მისცემს თემს შეისწავლოს და პრაქტიკაში გამოიყენოს ის ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც წითელი ჯვრის საზოგადოება გადასცემს თემის წევრებს თავის პარტნიორებთან ერთად. თემის წევრები მიღებულ ცოდნასა და გამომუშავებულ უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით შეძლებენ უფრო მეტად უსაფრთხო და სტაბილური თემების ჩამოყალიბებას, რომელსაც შესწევს უნარი ადგილობრივ ხელისუფლებასთან და **წყალტუბოში** წითელი ჯვრის გუნდთან კოორდინირებაში მოახდინონ კატასტროფების მიმართ მოწყვლადობის რისკის შემცირება და გაუმკლავდნენ ადგილზე წარმოქმნილ სხვადასხვა ტიპის გამოწვევებს, მათ შორის ეპიდემიებით მიღებულ ზიანს. შეთავაზებული პროექტის განხორციელებით, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას **წყალტუბოში** შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კატასტროფებისადმი მოწყვლადი ჯგუფების, ახალგაზრდების, ხანდაზმულების და მთლიანად თემის ჯანმრთელობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და შენარჩუნებაში, მათ გაძლიერებასა და მათივე პრობლემების ადვოკატირებაში. მობილიზებული პარტნიორები, თემის წევრები და სერვისების მიწოდებასა და განხორციელებაში გაწრთვნილი მოხალისეები კი არის შეთავაზებული პროექტის წარმატებით განხორციელებისა და მდგრადობის გარანტი.

7. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

პროგრამის მიზნები

| № | მიზანი | შეფასების ინდიკატორი |
|---|---|---|
| 1 | უსაფრთხო თემების ჩამოყალიბების/განვითარების ხელშეწყობა კატასტროფებისთვის მზადებით, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდითა და სოციალური მხარდაჭერით<br><br>- | • საქმიანობათა ცენტრი, რომელიც პასუხობს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს და ფუნქციონირებს პერსონალის, მოხალისეებისა და ბენეფიციარების თანამონაწილეობით.<br>• ჩამოყალიბებული საქმიანობათა ჯგუფები, რომელთა მართვა ხორციელდება ჯგუფის ლიდერების მიერ.<br>• რეგულარული ტრენინგები და წამახალისებელი ღონისძიებები მოხალისეთათვის<br>• შერჩეული, გადამზადებული და აღჭურვილი მოხალისეთა მობილური ჯგუფი კატასროფებზე, **მათ შორის მასობრივ საგანგებო სიტუაციებზე** სწრაფი და ეფექტური რეაგირებისათვის.<br>• პერსონალის, მოხალისეებისა და ბენეფიციარების გაზრდილი რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ პროგრამის მომსახურებით |

პროგრამის ამოცანები

| № | ამოცანები | შეფასების ინდიკატორი |
|---|---|---|
| 1. | სასოფლო და საქალაქო თემის წევრების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება კატასტროფების მიმართ მოწყვლადობის შემცირებით, მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაზრდით. | • თემის მოხალისეთა გადამზადებული ჯგუფი<br>• მუნიციპალიტეტის განახლებული რეაგირების გეგმა და ნათლად განსაზღვრული რეაგირების მექანიზმში ჩართული სტრუქტურების როლი და მოვალეობები.<br>• ერთი სიმულაციური ვარჯიში ჩატარებული სამიზნე სკოლაში არსებული საევაკუაციო გეგმის შესაბამისად<br>• მოსწავლეების მიერ წარმოჩენილი ცოდნა, თუ როგორ უნდა მოიქცეს სკოლაში საგანგებო სიტუაციის დროს<br>• ერთი ინიცირებული სიმულაციური ვარჯიში, რაც გულისხმობს არსებული მუნიციპალიტეტის რეაგირების გეგმის ამოქმედებას დაინტერესებულ |

| | | |
|---|---|---|
| | | მხარეთა მონაწილეობით<br>• ქუჩის ორი აქცია (გამწვანება, დასუფთავება და ა.შ.).<br>• საინფორმაციო და საგანმანათლებლო მასალა, რომელიც მიეწოდება მოსახლეობას<br>• შემუშავებული/ან განახლებული თემის რეაგირების გეგმა |
| 2. | თემის მედეგობის გაძლიერება ყოველდღიურ უბედურ შემთხვევებთან, დაავადებებთან და ეპიდემიებთან, კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციებთან უკეთ გამკლავებისა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. | • ჩამოყალიბებული და გაწვრთნილი პირველი დახმარების გუნდი, რომელიც თემის წევრებს შორის რეგულარულად ავრცელებს ინფორმაციასა და ცოდნას პირველი დახმარების შესახებ<br>• არანაკლებ ორი „პირველი დახმარების" ქუჩის ჩატარებული აქცია<br>• თემის წევრთა გაზრდილი რაოდენობა, ვინც ფლობს პირველი დახმარების უნარებს<br>• ჩამოყალიბებული და გაწვრთნილი მოხალისეთა გუნდი, რომელიც რეგულარულად ახდენს სისხლის ნებაყოფლობითი უსაფრთხო, უანგარო დონაციის და ქვეყანაში სისხლის მარაგის შევსების პროპაგანდას; საგანგებო სიტუაციების დროს ჯანდაცვის გამოწვევების მიმართ ადგილობრივი თემების გაძლიერებას; მართვადი დაავადებებისაგან იმუნიზაციის გზით ქვეყნის მოსახლეობის ეფექტური დაცვის პოპულარიზაციას.<br>• ერთი სამედიცინო-დიაგნოსტიკური კვლევა, რომელშიც მონაწილეობდა არანაკლებ 130 ბენეფიციარი |
| 3. | ცენტრზე დაფუძნებული საქმიანობების განვითარება თემებში მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულებისა და ახალგაზრდებისათვის. | • კარგად ფუნქციონირებადი საქმიანობათა ცენტრი, რომელიც ემსახურება ახალგაზრდებისა და ხანდაზმულების გააქტიურებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში<br>• საქმიანობათა ცენტრით მოსარგებლე ბენეფიცართა და მოხალისეთა გაზრდილი რაოდენობა, რომელნიც ახორციელებენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას და უნარ-ჩვევების განვითარებას<br>• ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე მობილიზებული პარტნიორების გაზრდილი რაოდენობა და მათი მონაწილეობით მოწყობილი სამუშაო შეხვედრები ხანდაზმულთა და ახალგაზრდების საჭიროებებსა და გამოწვევებზე რეაგირებისთვის |

## 8. პროგრამით მოსარგებლეთა (ბენეფიციართა ) რაოდენობა და კატეგორია:

ძირითად (პირდაპირ) სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

1. 18-29 წლამდე ახალგაზრდები, სასკოლო და სკოლამდელი ასაკის მქონე პირები;

2. 60-65 წელს ზემოთ, ოჯახურ მხარდაჭერას მოკლებული ხანდაზმულები, რომლებიც იღებენ სახელმწიფო პენსიასა და შემწეობას;
3. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჯგუფები;
4. შერჩეული თემის ლიდერები და წევრები.

არაპირდაპირ სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

1. სწჯს-ის მოხალისეები, ხელმძღვანელობა და მენეჯმენტი;
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები;
3. ადგილობრივი ბიზნესი და მედია;
4. მიზნობრივ ჯგუფებთან მომუშავე სხვა არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციები.

## 9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით

| საქმიანობა | 01 | 02 | 03 | 04 | 05 | 06 | 07 | 08 | 09 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სასოფლო და საქალაქო თემის წევრების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება კატასტროფების მიმართ მოწყვლადობის შემცირებით, მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაზრდით. | | | | | | | | | | | | |
| 1.1 თემის წევრებისა და ლიდერების რეგულარული წვრთნა და მათი შესაძლებლობების გაზრდა კატასტროფებზე სწრაფი რეაგირების მიზნით | | | | | | | | | | | | |
| 1.2 სასწავლო ტრენინგების და სესიების ჩატარება მიზნობრივი თემის ლიდერების, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების და გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის კატასტროფებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გასაძლიერებლად | | | | | | | | | | | | |
| 1.3 სიმულაციური ვარჯიშ(ებ)ის მოწყობა | | | | | | | | | | | | |
| 1.4 ქუჩის აქციების მოწყობა | | | | | | | | | | | | |
| 2. თემის მედეგობის გაძლიერება ყოველდღიურ უბედურ შემთხვევებთან, დაავადებებთან და ეპიდემიებთან, კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციებთან უკეთ გამკლავებისა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.1 სამედიცინო საკითხებზე, კერძოდ, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა შესახებ საინფორმაციო მასალის, ლიფლეტებისა და ბუკლეტების მომზადება და გავრცელება მიზნობრივი თემის წევრებს შორის | | | | | | | | | | | | |
| 2.2 პირველი დახმარების გუნდის ჩამოყალიბება და გაძლიერება (მათ შორის ტრენერთა ტრენინგ(ებ)ი ფილიალის მოხალისეებისთვის) | | | | | | | | | | | | |
| 2.3 პირველი დახმარების „ქუჩის აქციების" მოწყობა | | | | | | | | | | | | |
| 2.4 პირველი დახმარების ტრენინგები თემის წევრებისთვის და მონაწილეთა შორის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების გავრცელება/დარიგება | | | | | | | | | | | | |
| 2.5 სისხლის ნებაყოფლობითი უსაფრთხო, უანგარო დონაციის პროპაგანდისა და ქვეყანაში უანგარო სისხლის დონაციის წილის გაზრდის მიზნით მოხალისეთა გუნდის ჩამოყალიბება და გადამზადება | | | | | | | | | | | | |
| 2.6 სისხლის უანგარო, ნებაყოფლობითი დონაციის კამპანი(ებ)ის ორგანიზება და სისხლის დონორთა მსოფლიო დღის (14 ივნისი) აღნიშვნა. | | | | | | | | | | | | |
| 2.7 საგანგებო სიტუაციების დროს ჯანდაცვის გამოწვევების მიმართ ადგილობრივი თემების გაძლიერების მიზნით მოხალისეთა გუნდის ჩამოყალიბება და გადამზადება სხვადასხვა თემატური ტრენინგების ჩატარების გზით . | | | | | | | | | | | | |
| 2.8 სათანადო სესიების ჩატარება, ასევე კვალიფიციური საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების შემუშავება და გავრცელება თემის წევრებს შორის . | | | | | | | | | | | | |
| 2.9 მართვადი დაავადებებისაგან იმუნიზაციის გზით ქვეყნის მოსახლეობის ეფექტური დაცვის მიზნით მოხალისეთა გუნდის ჩამოყალიბება და გადამზადება შესაბამისი თემატური ტრენინგების ჩატარების გზით . | | | | | | | | | | | | |
| 2.10 საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალის შემუშავება და გავრცელება თემის წევრებს შორის, ასევე სესიების ჩატარება. | | | | | | | | | | | | |
| 2.11 განხორციელებული საქმიანობებისა და წარმატებული შედეგების გაცნობა, ასევე, დისკუსიებისა და სამუშაო შეხვედრების მოწყობა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით საქმიანობების შემდგომი განვითარების მიზნით. | | | | | | | | | | | | |
| 2.12 სამედიცინო-დიაგნოსტიკურ კვლევაში მონაწილე თემ(ებ)ის იდენტიფიცირება, ბენეფიციართა ბაზის ჩამოყალიბება და უფასო სამედიცინო კონსულტაციებისა და გამოკვლევების დაგეგმვა და ორგანიზება | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3. ცენტრზე დაფუძნებული საქმიანობების განვითარება თემებში მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულებისა და ახალგაზრდებისათვის | | | | | | | | | | | | |
| 3.1 საქმიანობათა ცენტრის ბენეფიციართა და ვიზიტორთა მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბება და განახლება | | | | | | | | | | | | |
| 3.2 მოხალისეობაზე დაფუძნებული საქმიანობათა ჯგუფების შემადგენლობის განახლება | | | | | | | | | | | | |
| 3.3 ახალგაზრდებისა და ხანდაზმულების, თემის ლიდერებისა და მოხალისეების ქსელის განმტკიცება ადგილობრივ და ცენტრალურ დონეებზე | | | | | | | | | | | | |
| 3.4 ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა (შობა-ახალი წელი, დედის დღე, აღდგომა, საიუბილეო თარიღები და სხვა) და სოციალური ღონისძიებების მოწყობა (პოეზიის საღამოები, ექსკურსია, გაცვლითი ვიზიტი, ჩემპიონატი ჭადრაკსა თუ შაშში და ა.შ.). ბენეფიციარების აქტიური ჩართულობით | | | | | | | | | | | | |
| 3.5 რეგულარული და განახლებული სასწავლო და სამუშაო სესიები/ტრენინგები/სემინარები (ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, ფონდების მოძიება, კომუნიკაცია, პირველი დახმარება, პროექტების მართვის ციკლი, სისხლის დონაცია) ბენეფიციარეზის, მოხალისეების, მთავარი დაინტერესებული პირებისა და პროექტის თანამშრომლებისათვის | | | | | | | | | | | | |
| 3.6 საინფორმაციო მასალების განახლება და მიწოდება ბენეფიციარებისათვის საინტერესო საკითხებზე | | | | | | | | | | | | |
| 3.7 მცირე პროექტების მომზადება ბენეფიციართა საჭიროებებზე რეაგირებისა და მხარდაჭერისთვის, შერჩევა და განხორციელება | | | | | | | | | | | | |
| 3.8 დისკუსიებისა და სამუშაო შეხვედრების მოწყობა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით | | | | | | | | | | | | |

10. პროგრამის ბიუჯეტი

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თანადაფინანსებით და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მხარდაჭერით განსახორციელებელი პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი არის 55 000. 00 (ორმოცდათხუთმეტიათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი, საიდანაც თანამონაწილეობითი თანხა 2026 წლის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 30 000.00 (ოცდაათიათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს (იხ. დანართი #2).

# ხელშეკრულება

ქ. თბილისი 29 იანვარი, 2026 წელი

## 1.ხელშეკრულების დამდები მხარეები.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთი მხრივ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მერის, გენადი ბალანჩივაძის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 221274546) (შემდგომში „მერია“)

მეორე მხრივ: საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება საიდენტიფიკაციო კოდი 202 051 536, წარმოდგენილი მისი გენერალური მდივნის ნინო ოსეფაიშვილის სახით (შემდგომში „საზოგადოება“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 2.ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

2.1.1 ერთობლივი პროექტის „შემდგომში პროექტი“ განხორციელების მიზნით დანართი 1–ით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელება და მათ განსახორციელებლად დანართი 2-ით გათვალისწინებული შესაბამისი თანხების გამოყოფა.

2.1.2 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1.1 პუნქტში მოხსენებული დანართი 2–ით გათვალისწინებული თანხის მოძიებასა და გამოყოფაზე სრულად პასუხისმგებელია მერია.

2.1.3 მერიის მიერ გამოყოფილი თანხის საერთო ოდენობა შეადგენს 30 000-00 (ოცდაათი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.1.4 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მერიის მხრიდან თანხა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ყოველი თვის დასაწყისში წინასწარ, საქმიანობების განხორციელებამდე, ირიცხება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ქვემოთ მითითებულ საბანკო ანგარიშზე:

**სს „საქართველოს ბანკი“**
**ბანკის კოდი: BAGAGE22**
**ა/ნ: GE38BG0000000131457145**

## 3.მხარეთა უფლება–მოვალეობანი

3.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან:

ა) მოითხოვონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

ბ)მონიტორინგი გაუწიონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ხარჯვას

3.2მხარეები ვალდებულები არიან:

ა)დროულად და წერილობით აცნობონ ერთმანეთს ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

ბ)ჯეროვნად დაიცვან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

გ)არ დაუშვან დანართი 2-ით გამოყოფილი თანხის რაიმე შეცვლა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე.

3.3. მერია იღებს ვალდებულებას ხარჯები აანაზღაუროს 2026 წლის 1 თებერვლიდან.

3.4 საზოგადოების მხრიდან ერთობლივი პროექტის მიმდინარეობისას ნებისმიერ ოფიციალურ დოკუმენტსა და კორესპონდენციაზე ხელმომწერი პირია ნინო სამადალაშვილი.

## 4.მონიტორინგის პირობები

4.1 ხელშეკრულებით გათვლისწინებული პირობების შესრულებას მონიტორინგს უწევენ მერია და საზოგადოება ერთობლივად.

4.2 მონიტორინგი გულისხმობს მხარეების უფლებას, შეამოწმონ ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულებების მიმდინარეობა მხარეების მიერ სპეციალურად ამისათვის უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით.

## 5.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

5.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

5.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 6.უფლებების გადაცემა

6.1 საზოგადოებას არა აქვს უფლება მერიის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება მოვალეობანი.

## 7. სუბ–კონტრაქტორები

7.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ–კ-ონტრაქტორის დადების ან სუბ–კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, საზოგადოებამ წერილობით უნდა აცნობოს მერიას ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღს მისგან წერილობითი თანხმობა.

7.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ–კონტრაქტი არ ათავისუფლებს საზოგადოებას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 8.ფორსმაჟორი

8.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა ფორსმაჟორული გარემოებების არსებობისას არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისიწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით

ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და გამონახავს ისეთ ალტერნატიულ ხერხებს, რომლებიც დამოუკიდებლები იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

## 9.დავების გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი ოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

9.2 თუ მერია და საზოგადოება ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 10.სხვა პირობები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

10.3 ხელშეკრულების დანართი 1 და დანართი 2 წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად.

10.4 თუ წინამდებარე ხელშეკრულების რაიმე პირობა გახდა ბათილი, ეს ვერ მოახდენს გავლენას, მთელი ხელშეკრულების ან მისი ცალკეული პირობების ბათილობაზე, მათ იურიდიულ ძალასა და გამოყენებადობაზე.

## 11.მხარეთა ხელმოწერა

| | |
|---|---|
| მერია: | საზოგადოება: |
| წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი : | საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება გენერალური მდივანი: |
| გენადი ბალანჩივაძე | ნინო ოსეფაიშვილი |

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება
202051553
GEORGIA RED CROSS SOCIETY

*danarTi 2*

პროექტი: „გაძლიერებული ადგილობრივი თემების ახალგაზრდები კატასტროფების ზეგავლენის შემსუბუქების, უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისთვის წყალტუბოში"

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსებისათვის საჭირო ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვა

**თებერვალი-დეკემბერი, 2026**

| | ბიუჯეტის მუხლი | ერთეულის დასახელება | ერთეულის ფასი/ლარი | ერთეულის რაოდენობა | პროექტის ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მირითადი პროგრამული ხარჯები | | | | |
| 1.1 | სხვადასხვა სოციალური ღონისძიებები (გაცვლითი ვიზიტი, შემოქმედებითი საღამოები, ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა და სხვა) | ღონისძიება | 150.00 | 4 | 600.00 |
| 1.2 | მოხალისეთა ინიციატივების განხორციელება საჭიროებებზე ქმედებისათვის | ინიციატივა | 616.79 | 3 | 1850.37 |
| 1.3 | სასწავლო ტრენინგები (მაგ.: პირველი დახმარება, კატასტროფების მართვა და სხვა) | ტრენინგი | 400.00 | 4 | 1600.00 |
| 1.4 | ხარჯები სამედიცინო აქციის ჩასატარებლად (სასტუმრო, ტრანსპორტირება, კვება და სხვა) დაუცველი ჯგუფებისათვის | ბენეფიციარი | 20.00 | 130 | 2600.00 |
| | ქვეჯამი | | | | 6650.37 |
| 2 | სხვა პროგრამული ხარჯები | | | | |
| 2.1. | ცენტრის მიმდინარე ხარჯები | ცენტრი | 97.00 | 11 | 1067.00 |
| 2.2 | სატრანსპორტო ხარჯები | ლიტრი | 3.00 | 280 | 840.00 |
| | ქვეჯამი | | | | 1907.00 |
| 3 | ადმინისტრაციული ხარჯები | | | | |
| 3.1 | პროგრამების კოორდინატორი ცენტრალურ დონეზე | კაცი | 653.28 | 11 | 7186.08 |
| 3.2 | საქმიანობათა ცენტრის მენეჯერი | კაცი | 659.05 | 11 | 7249.55 |
| 3.3 | კატასტროფების მართვის სპეციალისტი ადგილობრივ დონეზე | კაცი | 637.00 | 11 | 7007.00 |
| | ქვეჯამი | | | | 21442.63 |
| | სულ ჯამი | | | | 30000.00 |

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება GEORGIA RED CROSS SOCIETY 202051536

სწჯს გენერალური მდივანი / ნ. ოსეფაიშვილი /

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი /გ. ზალანჩივაძე /